11/03/2019

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა საირხის სასულიერო სკოლა-პანსიონის პედაგოგები და მოსწავლეები მიიღო

ა.წ. 8 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიაში, სოფელ საირხეში არსებული წმინდა ნინოს სახელობის სასულიერო სკოლა-პანსიონის პედაგოგები და წარმატებული მოსწავლეები მიიღო.

ახალგაზრდებმა მის უწმინდესობას ლექსები წაუკითხეს და მუსიკალური ნაწარმოებები შეასრულეს. აღსანიშნავია, რომ ამ სკოლის მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ საერთაშორისო კონკურსებში.

მისმა უწმინდესობამ დალოცა პედაგოგები და აღსაზრდელები და შემდგომი წარმატებები უსურვა.

Bechstein